საიჯარო ხელშეკრულება

ქ. თბილისი

01.01.2011

ერთის მხრივ შ.პ.ს. "გამა" დირექტორის ირაკლი ჩახტაურის სახით, შემდგომში "მოიჯარე" და მეორეს მხრივ შპს. "სპეცავტომეურნეობა" წარმოდგენილი დირექტორის თამაზ გუჯაბიძის სახით, შემდგომში "მეიჯარე" საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

"მეიჯარე" გადასცემს "მოიჯარე"-ს დროებით სარგებლობაში მის კუთვნილ ტერიტორიაზე მდებარეს ქ.თბილისი, ნუცუბიძის ქ. №129-ში 30 კვ.მ ფართს კომერციული საქმიანობისათვის (ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.14.02.025.127).

2. სახელშეკრულებო ფასი

2.1. ყოველთვიური საიჯარო ქირის ოდენობა შეადგენს 100 (ასი) ლარს.

3. ანგარიშსწორების წესი

3.1 "მოიჯარე" ვალდებულია "მეიჯარეს" გადაუხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირა საანგარიშო თვის მომდევნო თვის 9 რიცხვში.
3.2 ანგარიშსწორება მოხდება ეროვნულ ვალუტაში.
3.3 გადახდის ფორმა: უნაღდო ან ნაღდი.

4. "მეიჯარის" ვალდებულებები და უფლებები

4.1 "მეიჯარე" ვალდებულია მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ გადასცეს "მოიჯარეს" იჯარის ობიექტი.

4.2. ხელი არ შეუშალოს "მოიჯარეს" იჯარის ობიექტით სარგებლობაში.

4.3. "მეიჯარე"-ს უფლება აქვს "მოიჯარ"-ის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ან ხელშეკრულების გაუქმება.

4.4. თუ "მოიჯარე" საიჯარო ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ არ დააბრუნებს იჯარით აღებულ ქონებას "მეიჯარე"-ს უფლება აქვს მოითხოვოს დათქმული საიჯარო ქირის გადახდა ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის.

4.5. "მეიჯარე" ვალდებულია 2 თვით ადრე აცნობოს "მოიჯარეს" ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შესახებ.

4.6. "მეიჯარე"-ს უფლება აქვს ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს საიჯარო ფართის უკან დაბრუნება იმ შემთხვევაში თუ საიჯარო ფართის მომავალში გამოყენება გამოიწვევს მის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურებას.

4.7. იჯარის ობიექტით სარგებლობის პერიოდში ყველა კომუნალურ გადასახადებს გადაიხდის "მეიჯარე".

5. "მოიჯარის" ვალდებულებები და უფლებები

5.1. "მოიჯარე" ვალდებულია მიიღოს საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართი გამოიყენოს იგი დანიშნულებისამებრ.

5.2. "მოიჯარე" ვალდებულია მოუაროს იჯარით აღებულ ობიექტს, შეინახოს ის უსფრთხოების ტექნიკის, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარული ნორმების დაცვით.

5.3. "მოიჯარე" ვალდებულია აუნაზღაუროს "მეიჯარეს" ის ზარალი რომელიც გამოწვეული იქნება მისი ბრალეულობით.

5.4. "მოიჯარე"-ს უფლება აქვს მოსთხოვოს "მეიჯარეს" წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების მოშლა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.2. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გაფორმებული იქნება წერილობით და ხელმოწერილი ორივე მხარის მიერ.

6.3. ხელშეკრულების ვადამდე მოშლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ამასთან, ცალმხრივად ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების უხეშად და/ან სისტემატურად დარღვევის შემთხვევაში.

7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეებს ეხსნებათ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში. წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებული ვალდებულებების შესრულების ვადები გადაიტანება ამ გარემოებათა დასრულებამდე.

8. დავის გადაწყვეტის წესი

8.1. ყველა დავა და უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოექმნათ მხარეებს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისას, გადაწყდება მხარეთა შეთანხმებით.

8.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაეცემა კერძო არბიტრაჟს (ქართულ მუდმივმოქმედი არბიტრაჟი).

9. დამატებითი დებულებები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლიარად ქართულ ენაზე და ორივე თანაბარი იურიდიული ძალის მქონეა. წინამდებარე ხელშეკრულების თითო პირი ინახება ხელშეკრულების დამდებ მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

"მოიჯარე":	"მეიჯარე":
შ.პ.ს. „გამა"	შ.პ.ს. "სპეცავტომეურნეობა"
ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი №67	საქართველო, დედოფლისწყარო, ს.არხილოსკალო
ს/კ 208208198	ს/კ 14001026074
ს.ს. "ბანკი ქართუ" ბ/კ 220101081	ს.ს. "საქართველოს ბანკი" ც/ფილიალი ბ/კ 220101502
ა/ა № 300467076	ა/ა №600467698
დირექტორი	დირექტორი
/გრიგალი ხახუაური/	/თამაზ გუჯაბიძე/

ცვლილება საიჯარო ხელშეკრულებაში

4 ოქტომბერი 2011

ქ. თბილისი

ერთის მხრივ შ.პ.ს. "გამა" დირექტორის ირაკლი ჩახტაურის სახით, შემდგომში "მოიჯარე" და მეორეს მხრივ შპს. "სპეცავტომეურნეობა" წარმოდგენილი დირექტორის თამაზ გუჯაბიძის სახით, შემდგომში "მეიჯარე" 2011 წლის 1 იანვარს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების 6.2. ქვეპუნქტის შესაბამისად აფორმებენ ცვლილებას საიჯარო ხელშეკრულებაში შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. 2011 წლის 1 ოქტომბრიდან გაიზარდოს საიჯარო ფართი და განისაზღვროს 60 კვ.მ-ით (ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.14.02.025.127).

1.2. 2011 წლის 1 ოქტომბრიდან შეიცვალოს ყოველთვიური საიჯარო ქირა და განისაზღვროს ყოველთვიურად 300 (სამასი) ლარით.

1.3. ცვლილება შევიდეს საიჯარო ხელშეკრულების 6.1. ქვეპუნქტში და ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

1.4. ცვლილებები ძალაში შედის 2011 წლის 1 ოქტომბრიდან.

მხარეთა იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

"მოიჯარე":

შ.პ.ს. „გამა"

ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი №67

ს/კ 208208198

ს.ს. "ბანკი ქართუ" ბ/კ 220101081

ა/ა № 300467076

დირექტორი

/ირაკლი ჩახტაური/

01011012854

"მეიჯარე":

შ.პ.ს. "სპეცავტომეურნეობა"

საქართველო, ქ. თბილისის ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ქ.№129

ს/კ 212273154

ს.ს. "საქართველოს ბანკი" ც/ფილიალი ბ/კ 220101502

ა/ა №600467698

დირექტორი

/თამაზ გუჯაბიძე/

ცვლილება საიჯარო ხელშეკრულებაში

ქ. თბილისი 10.03.2012

ერთის მხრივ შ.პ.ს. "გამა" დირექტორის ირაკლი ჩახტაურის (პ/ნ 01011012854) მინდობილი პირის ლევან დევდარიანის (პ/ნ 42001003777) სახით, შემდგომში "მოიჯარე" და მეორეს მხრივ შპს. "სპეცავტომეურნეობა" წარმოდგენილი დირექტორის თამაზ გუჯაბიძის სახით, შემდგომში "მეიჯარე" 2011 წლის 1 იანვარს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების 6.2. ქვეპუნქტის შესაბამისად აფორმებენ ცვლილებას საიჯარო ხელშეკრულებაში შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. 2012 წლის 10 მარტიდან გაიზარდოს საიჯარო ფართი და განისაზღვროს 300 კვ.მ-ით (ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.14.02.025.127).

1.2. 2012 წლის 10 მარტიდან შეიცვალოს ყოველთვიური საიჯარო ქირა და განისაზღვროს ყოველთვიურად 1300 (ათასსამასი) ლარით.

1.3 ცვლილება შევიდეს ხელშეკრულების 4.5 ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "მეიჯარე"-ს მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში იგი ვალდებულია "მოიჯარე"-ს აღნიშნულის შესახებ აცნობოს წინასწარ ერთი თვით ადრე.

1.4. ცვლილებები ძალაში შედის 2012 წლის 10 მარტიდან.

მხარეთა იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

"მოიჯარე":

შ.პ.ს. „გამა"

ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი №67

ს/კ 208208198

ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"

ბანკის კოდი: **REPLGE22**

ა/ა **GE41BR0000010796867242**

/ლევან დევდარიანი/ პ/ნ 42001003777

"მეიჯარე":

შ.პ.ს. "სპეცავტომეურნეობა"

საქართველო, ქ. თბილისის ვაკის რაიონში,
ნუცუბიძის ქ.№129
ს/კ 212273154

ს.ს. "პროკრედიტ ბანკი"

ბანკის კოდი: **MIBGGE22**

ა/ა **GE75PC0183600100027322**

დირექტორი

/თამაზ გუჯაბიძე/ პ/ნ 01024019678

ცვლილება საიჯარო ხელშეკრულებაში

ქ. თბილისი

30.12.2013

ერთის მხრივ შ.პ.ს. "გამა" წარმოდგენილი დირექტორის დავით ჩახტაურის მინდობილი პირის ლევან დევდარიანის (პ/ნ 42001003777; მინდობილობა №12/02, გაცემული 25.02.2014წ) სახით, შემდგომში "მოიჯარე" და მეორეს მხრივ შპს. "სპეცავტომეურნეობა" წარმოდგენილი დირექტორის თამაზ გუჯაბიძის სახით, შემდგომში "მეიჯარე" 2013 წლის 1 იანვარს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების (ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.14.02.025.127; განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: 882013055797) 6.2. ქვეპუნქტის შესაბამისად აფორმებენ ცვლილებას საიჯარო ხელშეკრულებაში შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ცვლილება შევიდეს ხელშეკრულების 6.1 ქვეპუნქტში და ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2015 წლის 1 იანვრამდე.

1.2. 2014 წლის 1 მარტიდან შეიცვალოს ყოველთვიური საიჯარო ქირა და განისაზღვროს ყოველთვიურად 1500 (ათასხუთასი) ლარით.

მხარეთა იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

"მოიჯარე":

შ.პ.ს. „გამა"

ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი №67

ს/კ 208208198

ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"

ა/ა GE41BR0000010796867242

მინდობილი პირი

/ლევან დევდარიანი/ პ/ნ 42001003777

"მეიჯარე":

შ.პ.ს. "სპეცავტომეურნეობა"

საქართველო, ქ. თბილისის ვაკის რაიონში,
ნუცუბიძის ქ. №129
ს/კ 212273154

ს.ს. "პროკრედიტ ბანკი"

ა/ა GE75PC0183600100027322

დირექტორი

/თამაზ გუჯაბიძე/ პ/ნ 01024019678

03/04

"29" 04 2014

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

შ.პ.ს. "გამა" წარმოდგენილი დირექტორის დავით ჩახტაურის სახით არ არის წინააღმდეგი მასზედ, რომ შ.პ.ს. "სპეცავტომეურნეობა"-მ (ს/კ 212273154) განახორციელოს მის კუთვნილ ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობა №1-ის დემონტაჟი.

დირექტორი

დავით ჩახტაური

შპს გამა, ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. # 19, IV სართ, # 402; Gama ltd, Tbilisi,D.Gamrekeli str 19, IV fl, #402
ტელ/tel :+995 322 24 25 80; ფაქსი/fax : +995 322 24 25 90
ელ. ფოსტა/ email: info@gamagas.ge
ვებ.გვერდი/web.page: www.gamagas.ge



